საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 7 04/01/2017

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის # 62 განკარგულებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდესის“ 24–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ.დ“ ქვეპუნქტის, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) 23-ე მუხლის მე-7 პუნქტისა და საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63–ე მუხლის საფუძველზე **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:**

მუხლი 1. შეტანილი იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის # 62 განკარგულებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების შემადგებლობების დამტკიცების შესახებ“

1. შეტანილ იქნეს ცვლილება განკარგულების მე-2 პუნქტში და იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის შემადგენლობაში შეყვანილ იქნეს საკრებულოს წევრები: დავით კიკნაძე, რომან შერგელაშვილი კომისიის შემადგენლობა დამტკიცდეს თანდართული სიის შესაბამისად (სია თან ერთვის).

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 –ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე